ქვეპროგრამის დასახელება: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა და მოზარდთა

საკურორტო მომსახურება

რა არის ქვეპროგრამის არსი?

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განაცხადის წარდგენის დროისთვის არანაკლებ ბოლო ორი წლის განმავლობაში, რეგისტრირებული 3–დან 20 წლამდე ასაკის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საქართველოს სხვადასხვა კურორტზე დასვენების ვაუჩერულ დაფინანსებას.

რას მოიცავს ქვეპროგრამა?

თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ ბოლო ორ წელს რეგისტრირებული 3-დან 20 წლამდე ასაკის შშმ პირთათვის საქართველოს კურორტებზე სასტუმროს მომსახურების ხარჯების ვაუჩერულ დაფინანსებას;

ვაუჩერის ღირებულება შეადგენს 800 ლარს;

დასასვენებლად განსაზღვრულია არანაკლებ 6 დღე-ღამე;

პროგრამის მოსარგებლეებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში ერთი ვაუჩერი გაიცემა;

ვაუჩერით მოსარგებლე პირი თავად ირჩევს მომსახურების მიმწოდებელ სასტუმროს და სერვისის პირობებს;

ვაუჩერი ძალაშია 2024 წლის 1 მაისიდან 2024 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

ვინ არიან ქვეპროგრამით მოსარგებლეები?

3-დან 20 წლამდე ასაკის შშმ სტატუსის მქონე ბავშვი ან მოზარდი, რომელიც რეგისტრირებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, განაცხადის წარდგენის დროისთვის არანაკლებ ბოლო ორი წლის განმავლობაში, მათ შორის, იმ შემთხვევაში თუ ვაუჩერის მიღების მსურველ ბავშვს ან მოზარდს აღნიშნულ პერიოდში შეუწყდა და კვლავ განუახლდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში რეგისტრაცია და ამგვარი შეწყვეტის შედეგად, ის სხვა მუნიციპალიტეტში არ დარეგისტრირებულა.

ვაუჩერი არ გაიცემა, თუ ნებისმიერი კანონიერი წყაროდან მიღებული ინფორმაციით სამსახურისთვის ცნობილი გახდება, რომ ბავშვი და განაცხადის შემომტანი მისი კანონიერი წარმომადგენელი ფაქტობრივად ცხოვრობენ ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარეთ.

როგორ უნდა ჩაერთოს ვაუჩერის მიღების მსურველი პირი ქვეპროგრამაში?

ქვეპროგრამით მოსარგებლემ (კანონიერმა წარმომადგენელმა), 2024 წლის 03 იანვრიდან 2024 წლის 12 აპრილის ჩათვლით, ვაუჩერის მისაღებად დადგენილი ფორმის განაცხადით უნდა მიმართოს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს.

რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს ვაუჩერის მიღების მსურველმა პირმა?

1. დაბადების/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
2. ცნობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ;
3. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არანაკლებ ბოლო ორწლიანი რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

როგორ ხდება ვაუჩერის ანაზღაურება და რა დოკუმენტები უნდა წარმოადგინოს სერვისის მიმწოდებელმა ფიზიკურმა ან იურიდიულმა პირმა, რომელმაც მომსახურება გაუწია ვაუჩერით მოსარგებლე პირს?

1. სერვისის მიმწოდებელი ვაუჩერით მოსარგებილის სასტუმროში განთავსებიდან არაუგვიანეს 2 დღისა, მოსარგებლის საიდენტიფიკაციო მონაცემებს აწვდის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას, მერიის ცხელი ხაზის საშუალებით.
2. ვაუჩერის განაღდება სერვისის მიმწოდებელს შეუძლია მომსახურების დასრულებიდან 2 (ორი) თვის განმავლობაში.
3. სერვისის მიმწოდებელმა სამსახურს უნდა წარუდგინოს:

   ა) ვაუჩერი (დედანი) და ვაუჩერით მოსარგებლის დაბადების/პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

   ბ) სერვისის მიმწოდებლის გაწეული მომსახურების ინვოისი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს:

   ბ.ა) სერვისის მიმწოდებლის დასახელება და საიდენტიფიკაციო ნომერი;

   ბ.ბ) საბანკო რეკვიზიტები;

   ბ.გ) მომსახურების გაწევის ადგილის მისამართი;

   ბ.დ) ვაუჩერით მოსარგებლის სახელი, გვარი და პირადი ნომერი;

   ბ.ე) ვაუჩერით მოსარგებლის მიერ საკურორტო მომსახურების მიღების დაწყებისა და დასრულების თარიღი;

   ბ.ვ) სერვისის მიწოდებისათვის ასანაზღაურებელი თანხა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების ვაუჩერის ღირებულებას - 800 ლარს.

   ბ.ზ) სერვისის მიმწოდებლის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა.

   გ) ინვოისი შედგენილი უნდა იქნეს ვაუჩერით მოსარგებლის მიერ საკურორტო მომსახურების მიღების შემდეგ, რომელშიც მოცემული უნდა იყოს ინვოისის გამოწერის თარიღი და ინვოისის ნომერი.